

ოპერატორული განტოლებათა ზოგიერთი კლასის რიცხვითი რეალიზაციის  
საკითხები შეშფოთების თეორიის ალტერნატიული მეთოდით

თამაზ ვაშაყმაძე

განიხილება წრფივი ოპერატორული განტოლებათვის შეშფოთების მეთოდთან ერთად მისი ამოხსნის ალტერნატიული ხერხიც ;პროექტირება ხორციელდება არა მარტო მაშინ, როდესაც საბაზისო სისტემა ხარისხოვანი მწკრივია,არამედ, როდესაც ვსარგებლობთ არეზე განსაზღვრული რაიმე სრული სისტემითაც (მაგალითად ერთგანზომილებიანი ინტერვალისათვის-ორთოგონალურ პოლინომთა სისტემა). იგება ოპერატორული განტოლების ექვივალენტური მრავალწერტილოვან განტოლებათა უსასრულო რაოდენობა, რომლის ყოველი სასრული ნაწილისათვის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად, ეფექტურად იგება ამომხსნელი ალგორითმი.